გამოყენებითი ხელოვნების/ხელნაკეთობის უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს

სხდომის ოქმი N10

თბილისი, 25 ივლისი 2022

გამოყენებითი ხელოვნების/ხელნაკეთობის უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომას ესწრებოდნენ წევრები:

1. **გიორგი იაშვილი** - სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის დიზაინის ფაკულტეტის პროფესორი, თსს აკადემიის მხატვრულიკერამიკის მიმართულების ხელმძღვანელი, თსს აკადემიის საფაკულტეტო პროგრამის "ვიზუალური კომპოზიციის საფუძვლების" ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **თამარ ნინიკაშვილი** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ცენტრის სასწავლო პროცესის კოორდინატორი, ხატვისა და ფერწერის პედაგოგი - საბჭოს მდივანი;
3. **ანდრო გიორგაძე** - სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ასოცირებული პროფესორი, დიზაინის ფაკულტეტის სამკაულისა და ლითონის დეკორატიული პლასტიკის მიმართულების ხელმძღვანელი - საბჭოს წევრი;
4. **მიხეილ კვაჭაძე** - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი - საბჭოს წევრი;
5. **თეიმურაზ სარიშვილი** - სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ასოცირებული პროფესორი, ხის მხატვრული დამუშავებისა და ავეჯის დიზაინის მიმართულების ხელმძღვანელი - საბჭოს წევრი;
6. **თამარ ცაგარელი** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ცენტრის დირექტორი - საბჭოს წევრი;
7. **ირინე საგანელიძე** - საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს შემოქმედებითი პროცესის ხელშეწყობის დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი- საბჭოს წევრი;
8. **მანანა ყიფიანი-** სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ასისტენტ პროფესორი - საბჭოს წევრი;
9. **ირინა მანია** - საქართველოს ტრადიციული რეწვის ასოციაციის კომერციული ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი; სოციალური მაღაზია „ეთნოდიზაინის“ თანადამფუძნებელი, ხელმძღვანელი; სსიპ - გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი - საბჭოს წევრი;
10. **ანა შანშიაშვილი** - ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, საქართველოს ტრადიციული რეწვის ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი - საბჭოს წევრი;
11. **ლალი ქუთათელაძე** - ფონდი „თიხის ოფისის" თანადამფუძნებელი, შ.პ.ს. ვაით სტუდიოს კერამიკაში მუშაობის მასტერკლასებისთვის მოწვეული პედაგოგი - საბჭოს წევრი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი:

- **ქეთევან ფანჩულიძე** - კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის უფროსი;
- **ნინო გოგლიჩიძე** - კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის კოორდინატორი;
- **ხატია ბერიძე** - კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის სპეციალისტი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 16:15 სთ-ზე.

კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის კოორდინატორი ნინო გოგლიჩიძე მიესალმა საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ სხდომას საბჭოს 11 წევრიდან ესწრებოდა საბჭოს 11 წევრი. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 11 ივნისის N476/ი 3 ბრძანების, უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების, განახლებისა და დამტკიცების, დარგობრივი საბჭოების, დარგობრივი სამუშაო ჯგუფების შექმნისა და საქმიანობის წესის მე-9 მუხლის 3 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მასში

ესწრება/ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მონაწილეობას იღებს საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

საბჭოს თავმჯდომარემ, გიორგი იაშვილმა წარადგინა დღის წესრიგი:

- საბჭოს თავმჯდომარემ გიორგი იაშვილმა საბჭოს წევრებს დაუსვა შეკითხვა ხომ არ აქვთ შენიშვნები ან კომენტარები დარგობრივი მახასიათებლის გაუმჯობესების მიზნით. საბჭოს წევრებს არ გამოუთქვამთ დამატებითი კომენტარები დოკუმენტთან დაკავშირებით.

მოისმინეს

საბჭოს თავმჯდომარემ გიორგი იაშვილმა სთხოვა საბჭოს წევრებს კენჭი ეყარათ დარგობრივი მახასიათებლის ცენტრის დირექტორისთვის დასამტკიცებლად წარდგენის მიზნით დადებითი რეკომენდაციის გაცემის თაობაზე, დათქმით, რომ დოკუმენტი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დაადგინეს

საბჭოს წევრებმა ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით მხარი დაუჭირეს დადებითი რეკომენდაციის გაცემას დოკუმენტის ცენტრის დირექტორისთვის დასამტკიცებლად წარდგენასთან დაკავშირებით, დათქმით, რომ დოკუმენტი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დასამტკიცებლად წარდგენილი დოკუმენტი ჩამოყალიბდეს ამ ოქმის დანართი N1-ის შესაბამისად.

სხდომა დასრულდა 16:30-ზე.

საბჭოს თავმჯდომარე

გიორგი იაშვილი _____

საბჭოს მდივანი

თამარ ნინიკაშვილი _____

დანართი N 1

დანართი N

გამოყენებითი ხელოვნების/(ხელნაკეთობის) უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი

უმაღლესი განათლების I და II საფეხურები ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI და VII დონეები

2022

I. შესავალი

გამოყენებითი ხელოვნების/(ხელნაკეთობის) უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი არის აკადემიური განათლების სტანდარტი (ინგლ. Subject Benchmark Statemenet of Applied Art /(Handicrafts)), რომელიც განსაზღვრავს შემდეგი სწავლის სფეროების — 0214.1.1 მხატვრული მინა, 0214.1.2 მხატვრული კერამიკა, 0214.1.3 საიუველირო ხელოვნება, 0214.1.4 ხის მხატვრული დამუშავება — შესაბამისი საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებისთვის სწავლის შედეგების მინიმალურ მოთხოვნებს, მათ მისაღწევად საჭირო სწავლება-სწავლისა და შეფასების მეთოდებსა და სხვა არსებით მახასიათებლებს.

დარგობრივი მახასიათებლის მიზანია, ხელი შეუწყოს საბაკალავრო (I საფეხური) და სამაგისტრო (II საფეხური) საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას, ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე სტუდენტთა მობილობას, მინიჭებული კვალიფიკაციის საერთაშორისო დონეზე აღიარებას და გამოყენებითი ხელოვნების სფეროში პროფესიის დაუფლებას.
დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული დებულებები სარეკომენდაციო ხასიათისაა. ამასთან, საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დეტალური შინაარსი, ასევე სწავლა-სწავლების და შეფასების მეთოდები განისაზღვრება თითოეული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
წინამდებარე დოკუმენტი ეფუძნება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს, *უმაღლესი განათლების ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს, მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს* და ემსახურება გამოყენებითი ხელოვნების საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობაში მოყვანას ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებსა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ რეგულაციებთან.

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლის გაცნობა რეკომენდებულია:

- აბიტურიენტებისთვის, რომლებსაც სურთ წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლით დაფარული სწავლის სფეროების შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლა;
- სტუდენტებისთვის, რომლებიც უმაღლესი განათლების 1-ელ ან მე-2 საფეხურზე სწავლობენ გამოყენებითი ხელოვნების/(ხელნაკეთობის) საგანმანათლებლო პროგრამებზე;
- ადგილობრივი ან უცხოელი სტუდენტებისთვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან გამოყენებითი ხელოვნების/(ხელნაკეთობის) უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლით დაფარული სწავლის სფეროების შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებზე მობილობით;
- დამსაქმებლებისთვის, რომლებიც დაინტერესებული არიან გამოყენებითი ხელოვნების/(ხელნაკეთობის) საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა კომპეტენციებითა და დასაქმებით;
- შესაბამისი მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება-განვითარებასა და განხორციელებაში ჩართული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის;
- განათლების სფეროს ექსპერტებისთვის, რომლებიც ჩართულნი არიან საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

დარგობრივი მახასიათებლის მოქმედების ვადაა 5 წელი.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ სწავლის სფეროების კლასიფიკატორში კოდით 0214 დეტალური სფეროს გამოყენებითი ხელოვნება / (ხელნაკეთობა) ქართული და ინგლისურენოვანი თარგმანი ერთმანეთთან შეუსაბამოა და ინგლისურად თარგმნილია მხოლოდ ნაწილობრივ: „Handicrafts", ხოლო „გამოყენებითი ხელოვნება" ინგლისურ ენაზე არ ფიგურირებს. გამოყენებითი ხელოვნების/ (ხელნაკეთობის) უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს წევრთა მოსაზრებით, ამ სფეროს დასახელება ქართულ და ინგლისურ ენებზე უნდა მოვიდეს ერთმანეთთან შესაბამისობაში და ინგლისურ ენაზე უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი ფორმულირებით - Applied Art/Handicraft.

II. სწავლის სფეროს აღწერა

დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება/ხელნაკეთობა___არის ვიზუალური ხელოვნების, მხატვრული შემოქმედების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგი, რომელიც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ

ბრძანებით დამტკიცებული სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მოქმედი რედაქციის თანახმად მოიცავს შემდეგ სფეროებს: 0214.1.1 მხატვრული მინა, 0214.1.2 მხატვრული კერამიკა, 0214.1.3 საიუველირო ხელოვნება, 0214.1.4 ხის მხატვრული დამუშავება.

საქართველოში დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების/ხელნაკეთობის დარგებს მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია აქვს და წარმოადგენს ქართული კულტურის მნიშვნელოვან შემადგენელს. ხელოვნების ამ დარგში ქართულმა კულტურამ შემოგვინახა არა მარტო სავსებით სრულქმნილი ნაწარმოებები, არამედ გამოიმუშავა სპეციფიკური ხასიათი, რომელიც საუკუნეებით დაგროვილი გამოცდილებისა და ადგილობრივი ტრადიციების საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს. გამოყენებითი ხელოვნების ზოგიერთ დარგში არსებობს კარგად ჩამოყალიბებული, საყოველთაოდ აღიარებული ქართული ტრადიციული სკოლა.

მოცემული სფერო ეყრდნობა დარგის მდიდარ ეროვნულ და საერთაშორისო მხატვრულ ტრადიციებს, ითვალისწინებს სპეციალობის თანამედროვე ტექნიკურ-ტექნოლოგიურ მიღწევებს, გულისხმობს მომიჯნავე დარგებთან (დიზაინი, არქიტექტურა და სხვ.) პრაქტიკულ სინთეზს.

საქართველოში გამოყენებითი ხელოვნების მიმართულებით უმაღლესი განათლების მნიშვნელოვანი ამოცანაა ხელოვნების თანამედროვე მეთოდების, უახლესი თუ ტრადიციული ტექნიკებისა და ტექნოლოგიების საშუალებით მოამზადოს პროფესიონალი, რომელსაც ექნება საკუთარი შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზების მზაობა და უნარი. დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების მხატვარს უნდა შეეძლოს შემოქმედებითი იდეების გენერირება, კონცეფციის ჩამოყალიბება და ამოცანის შესატყვისი ტექნიკურ ტექნოლოგიური ეტაპების გავლით, იდეის რეალიზება ობიექტში.

გამოყენებითი ხელოვნების/(ხელნაკეთობის) სფეროს მიმართულებები მრავალფეროვანია და ემსახურება ისეთი სახელოვნებო ნამუშევრის/პროდუქტის/ნაკეთობის შექმნას, რომელიც ამა თუ იმ სახით უტილიტარული, დეკორატიული და მხატვრულ-ესთეტიკური ფუნქციის მატარებელია.

თავის ხასიათით, აღნიშნული პროდუქტი შეიძლება იყოს სინთეზური, მცირე სერიული, ინტერიერისა, ექსტერიერისთვის განკუთვნილი, რის გამოც გამოყენებითი ხელოვნება მოიაზრება დიზაინის და ზოგიერთ კერძო შემთხვევაში არქიტექტურის მომიჯნავე სფეროდ. ამის გამო სასწავლო პროცესში სასურველია გათვალისწინებული იყოს მომიჯნავე სფეროების შესაბამისი სპეციფიური კომპონენტები.

გამოყენებითი ხელოვნების სწავლება მოიცავს შემოქმედებითი, ტექნოლოგიური (მათ შორის, ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით), კვლევითი, მხატვრულ-ესთეტიკური, პრაქტიკული მუშაობის კომპლექსურ სინთეზს დარგობრივ თეორიულ ცოდნასთან. მნიშვნელოვანია, რომ სფეროს დარგობრივი უნარებთან ერთად, გამოყენებითი ხელოვნების კურსდამთავრებულს გააჩნდეს ხატვის, ფერწერის, ქანდაკების უნარები, რაც გამოიყენება ჩანაფიქრის/იდეის გენერირებისთვის, კონცეფციის ჩამოყალიბებისა და მისი რეალიზებისთვის, რაც ვიზუალური ხელოვნების სწავლების საყრდენ ქვაკუთხედს წარმოადგენს.

გამოყენებითი ხელოვნების ნამუშევრები შესრულების ტექნიკით და ტექნოლოგიით შეიძლება იყოს არქაული, ტრადიციული, ან თანამედროვე და მოიცავდეს როგორც მცირე სერიულ სტუდიურ, ისე უნიკალურ/ექსკლუზიურ საავტორო ხელოვნების ნიმუშებს/ და ინდივიდუალურ არტს; ინტერიერისა და ექსტერიერის სივრცის ფუნქციონალურ-ესთეტიკურ მოწყობასა და დეკორირებას; სერიული წარმოებისთვის განკუთვნილ საყოფაცხოვრებო და დეკორატიული ნივთების დიზაინს და სხვ. ამრიგად, გამოყენებითი ხელოვნება თავის ხასიათით აქტუალურია თანამედროვე ყოფიერების მრავალ სფეროში. გამოყენებითი ხელოვნების/(ხელნაკეთობის) ფარგლებში მხატვრულ-შემოქმედებითი პროცესი წარიმართება უმთავრესად ხელით და

ინდივიდუალარად მართვადი ხელსაწყოებით, რითაც ხელოვნების ეს დარგი იმიჯნება, ინდუსტრიული მრეწველობისა და მასობრივი წარმოებისგან.

ამასთან, გამოყენებითი ხელოვნების საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსი დამოკიდებულია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მისიაზე, არსებულ ადამიანურ და მატერიალურ რესურსებზე, შესაბამისი დაწესებულების და/ან სტრუქტურული ერთეულის ტრადიციასა და განვითარების სამომავლო ხედვაზე, შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და სხვა ფაქტორებზე.

III. სწავლის შედეგები

დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული სწავლის შედეგები აღწერს ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებისთვის მინიმალურ სავალდებულო სწავლის შედეგებს, ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომელიც კურსდამთავრებულს მოეთხოვება შესაბამის საფეხურზე სწავლის დასრულებისას.
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია სწავლის შედეგები სამ კატეგორიად (ცოდნა-გაცნობიერება, უნარი, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა) დაყოფის გარეშე ჩამოაყალიბოს.
უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისას შეუძლია, სფეროს თანამედროვე მიღწევებისა და წარმატებული ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით დამატებით სწავლის სხვა შედეგებიც განსაზღვროს.

3.1. ბაკალავრიატი

ცოდნა და გაცნობიერება
კურსდამთავრებული:

- ახდენს ფართო, ზოგადი ცოდნის დემონსტრირებას დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების პრაქტიკული და თეორიული პრინციპების შესახებ;
- სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე ახდენს მასალაში შესრულების ტექნიკების თანამედროვე და ტრადიციული მეთოდების და თანამედროვე ტექნოლოგიების ცოდნის დემონსტრირებას;
- შეუსაბამებს შემოქმედებით ჩანაფიქრის გამოყენებით ფუნქციასა და ესთეტურ-მხატვრული მხარეებს.

უნარი

კურსდამთავრებული:

- შემოქმედებითი თუ ტექნიკური ამოცანის შესრულების მიზნით მოიძიებს შესაბამის ინფორმაციას, მოცემულობის ფარგლებში აყალიბებს შემოქმედებით იდეას და არჩევს სათანადო მასალებს;
- მასალაში შესრულების თანამედროვე და ტრადიციული მეთოდების გამოყენებით ქმნის სხვადასხვა ტიპის დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშს;
- წინასწარ განსაზღვრული მითითებებით გეგმავს სამუშაო პროცესს და ახორციელებს შემოქმედებით პროექტს;
- თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით წარუდგენს თავის ნამუშევარს დაინტერესებულ მხარეებს წერილობით ან/და ზეპირად.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა
კურსდამთავრებული:

- შემოქმედებით, ტექნიკურ და ტექნოლოგიურ საქმიანობაში ითვალისწინებს უსაფრთხოების ზომებს, ეკო-მეგობრულობის, უნარჩენო წარმოებისა და პროფესიული ეთიკის პრინციპებს;
- ნაშრომის/პროექტის შემუშავებისას იცავს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებსა და აკადემიურ სტანდარტებს;
- განსაზღვრავს თავისი სწავლის, პროფესიული განვითარების საჭიროებებს და გეგმავს კარიერულ განვითარებას.

3.2. მაგისტრატურა

ცოდნა და გაცნობიერება
კურსდამთავრებული:

- ახდენს ღრმა და სისტემური ცოდნის დემონსტრირებას დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების განვითარების უახლესი ტენდენციებისა და მნიშვნელოვანი მიღწევების შესახებ;
- ავლენს დარგისთვის აუცილებელი ტექნიკური აღჭურვილობისა და ტექნიკების საფუძვლიან პრაქტიკულ და თეორიულ ცოდნას;
- დამოუკიდებლად შეიმუშავებს მხატვრული გადაწყვეტის ორიგინალურ კონცეფციებს.

უნარი

კურსდამთავრებული:

- დამოუკიდებელად შეიმუშავებს კონცეპტუალურად ჩამოყალიბებულ იდეას და შემოქმედებითი მიდგომით, უახლესი ტექნოლოგიებისა და ტექნიკების გამოყენებით, ასრულებს დეკორატიულ-გამოყენებითი დანიშნულების ნამუშევარს;
- შემოქმედებითი საქმიანობის წარმართვისას ითვალისწინებს გამოყენებითი ხელოვნების თანამედროვე ტენდენციებსა და სფეროს სამომხმარებლო ბაზრის მოთხოვნებს;
- შესაბამისი თეორიული და ვიზუალური ინფორმაციის მოძიებისა და ანალიზის საფუძველზე შემოქმედებითად და დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით წყვეტს მხატვრულ ამოცანას და ქმნის კვლევით ნაშრომს/პროექტს;
- თეორიული და პრაქტიკული შრომის შედეგების საზოგადოების წინაშე წარსადგენად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს და ასევე ექსპონირების აქტუალურ, თანამედროვე ფორმებს.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა
კურსდამთავრებული:

- შემოქმედებით, ტექნიკურ, ტექნოლოგიურ საქმიანობაში იცავს პროფესიულ ეთიკას, უსაფრთხოების, ეკო-მეგობრულობისა და უნარჩენო წარმოების პრინციპებს;
- ნაშრომზე/პროექტზე მუშაობისას იცავს აკადემიურ სტანდარტებსა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს, წვლილი შეაქვს სფეროს განვითარებაში.
- აფასებს საკუთარ და სხვების შემოქმედებით დაოსტატების ხარისხს და განსაზღვრავს შემდგომი განვითარების საჭიროებებს.

IV. სწავლება, სწავლა და შეფასება

დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების/(ხელნაკეთობის) სფეროში თეორიული და პრაქტიკული სწავლების ძირითადი კომპონენტებია: მხატვრული ნიმუშების ესკიზის შექმნა (დაპროექტება როგორც ტრადიციული მეთოდებით, ასევე ციფრული მოდელირებით), დეკორის ელემენტებისა და სხვადასხვა მასალათა დამუშავების ტრადიციული და უახლესი ტექნოლოგიების გამოყენება, ხელსაწყოებისა და მოწყობილობების უსაფრთხოდ გამოყენების ნორმებისა და წესების დაცვა, უნარჩენო პროდუქციის წარმოების და ეკო-მეგობრული მიდგომების გათვალისწინება.

4.1. სწავლა-სწავლების მეთოდები

ისევე, როგორც ხელოვნების ყველა სხვა სფეროს სწავლებისას, მოცემული სფეროს სწავლების მთავარი მიზანია, ჩამოყალიბდეს აქტიური მხატვარი, რომელსაც აქვს დამოუკიდებელი შემოქმედებითი მუშაობის უნარი. ამის გათვალისწინებით დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების სწავლება მოიცავს დარგობრივი თეორიული და პრაქტიკული ცოდნის სინთეზს, შემოქმედებითი ჩანაფიქრის პრაქტიკაში განხორციელების ტექნიკურსა და ტექნოლოგიურ უნარებს, შემოქმედებითი გამოცდილების მიღებას, რაც ერთობლიობაში ჩამოაყალიბებს მაღალი რანგის ხელოვანს. მხატვრულ-ვიზუალური, ფუნქციური და ტექნოლოგიური ასპექტების კომბინაციის საჭიროება განაპირობებს დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების პროგრამებზე სასწავლო პროცესის თავისებურებებს. სახელდობრ, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების სწავლებისას შემოქმედებითი, პრაქტიკული და ტექნოლოგიური უნარების ასათვისებლად მნიშვნელოვანია, სასწავლო პროცესი წარიმართოს სათანადოდ აღჭურვილ სტუდიურ/ლაბორატორიულ სივრცეში. სამაგისტრო საფეხურზე მნიშვნელოვანია ასევე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი, რომელიც პრაქტიკულ და შემოქმედებით ასპექტებთან ერთობლიობაში ოპტიმალური შედეგების მიღწევის საფუძველია.
ქვემოთ ჩამოთვლილია გამოყენებითი ხელოვნების სფეროში სწავლება-სწავლის რეკომენდებული მეთოდები. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია, საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსიდან და მიზნებიდან გამომდინარე აირჩიოს ქვემოთ ჩამოთვლილი მეთოდებიდან მისთვის სასურველი ან გამოიყენოს სხვა მეთოდებიც.

სწავლა-სწავლების მეთოდები:

- ლექცია
- სტუდიური/ლაბორატორიული სწავლება
- პრაქტიკული მუშაობა
- ინდივიდუალური მუშაობა
- გუნდური მუშაობა
- ურთიერთ სწავლება
- შემთხვევის ანალიზი
- შემოქმედებითი პროექტი / პროექტზე დაფუძნებული სწავლა
- კონსულტაცია
- სასწავლო პრაქტიკა
- სემინარი
- პროექტირება
- მოდელირება
- ექსპონირება/პრეზენტაცია

და სხვა.

4.2. შეფასების მეთოდები

სწავლა-სწავლების პროცესის შეფასებისთვის შესაძლებელია გამოყენებული იყოს მრავალგვარი კომპონენტები. სტუდენტის შეფასება უნდა ეფუძნებოდეს შემდეგ პრინციპებს: ობიექტურობას, სანდოობას, ვალიდურობას, გაზომვადობასა და გამჭვირვალობას.

აღნიშნულ სფეროში სწავლის შედეგების შეფასების მეთოდების შერჩევა უნდა ეფუძნებოდეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამების მიზნებს, სტრუქტურასა და შინაარსს.

შეფასებისთვის შესაძლოა გამოყენებული იყოს:

- (საკურსო) დავალება
- გამოფენა
- პროექტი - გუნდური ან ინდივიდუალური
- პრეზენტაცია
- პორტფოლიო
- გამოცდა
- რეფერატი
- ურთიერთ შეფასება

და სხვა.

V. დამატებითი ინფორმაცია

5.1. აკადემიური პერსონალი

დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას უნდა უზრუნველ ჰყოფდეს როგორც შესაბამისი რაოდენობისა და კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალი, ასევე სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე მოწვეული სპეციალისტები.

5.2. მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა

დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში უნდა არსებობდეს შესაბამისი სფეროსთვის საჭირო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო სტუდია-სახელოსნოები/ლაბორატორიები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

VI. დარგობრივი მახასიათებლის შემმუშავებელი ჯგუფის წევრები

№	სახელი, გვარი	ორგანიზაცია/დაწესებულება	თანამდებობა
1	გიორგი იაშვილი	სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია	დიზაინის ფაკულტეტის პროფესორი, თსს აკადემიის მხატვრული კერამიკის მიმართულების ხელმძღვანელი, თსს აკადემიის საფაკულტეტო პროგრამის "ვიზუალური კომპოზიციის

			საფუძვლების" ხელმძღვანელი
2	თამარ ნინიკაშვილი	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ცენტრის დირექტორი, ხატვისა და ფერწერის პედაგოგი
3	მიხეილ კვაჭაძე	სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი
4	ანდრო გიორგაძე	სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია	ასოცირებული პროფესორი, დიზაინის ფაკულტეტის სამკაულისა და ლითონის დეკორატიული პლასტიკის მიმართულების ხელმძღვანელი
5	ანანა ყიფიანი	სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია	ასისტენტ-პროფესორი მხატვრული მინის მიმართულების ხელმძღვანელი
6	თეიმურაზ სარიშვილი	სსიპ - თბილისის აპო ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია	ასოცირებული პროფესორი, ხის მხატვრული დამუშავებისა და ავეჯის დიზაინის მიმართულების ხელმძღვანელი
7	თამარ ცაგარელი	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ცენტრის კონსულტატენტი. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების პროგრამების ხელმძთვანელი
8	ირინე საგანელიძე	საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო	შემოქმედებითი პროცესის ხელშეწყობის დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი
9	ირინა მანია	საქართველოს ტრადიციული რეწვის ასოციაცია	საქართველოს ტრადიციული რეწვის ასოციაციის კომერციული ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი; სოციალური მაღაზია „ეთნოდიზაინის“ თანადამფუძნებელი, ხელმძღვანელი; სსიპ - გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი
10	ანა შანშიაშვილი	ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, საქართველოს ტრადიციული რეწვის ასოციაციის	ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, საქართველოს ტრადიციული რეწვის

		აღმასრულებელი დირექტორი	ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი
11	ლალი ქუთათელაძე	შ.პ.ს. ვაით სტუდიო	ფონდი „თიხის ოფისის" თანადამფუძნებელი, შპს. ვაით სტუდიოს კერამიკაში მუშაობის მასტერკლასებისთვის მოწვეული პედაგოგი